

შპს „სიკეთე“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "სიკეთე"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
		ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017	
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	1668186	1660302	1567702	
ფული და ფულის ეკვივალენტები	6239	30476	171150	3.1
გაცემული მიმდინარე სესხები	16	16	67340	3.2
სავაჭრო მოთხოვნები	51611	129534	57289	3.3
გადახდილი ავანსები	53120	161421	114284	3.4
მარაგები	1456777	1338855	1094625	3.5
სხვა მიმდინარე აქტივები	100423		63014	3.6
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	598261	52618	62981	
ძირითადი საშუალებები	64750	51622	61563	3.7
არამატერიალური აქტივები	574	996	1418	3.8
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	532937			3.9
სულ აქტივები:	2266447	1712920	1630683	
ვალდებულებები და კაპიტალი				
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	113321	315603	37531	
სავაჭრო ვალდებულებები	84531	4529	1095	3.10
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	208	289184		3.11
საგადასახადო ვალდებულებები	28582	21890	36431	3.12
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			5	
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	1713024	837425	1592740	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1713024	837425	1592740	3.13
<i>სულ კაპიტალი:</i>	440102	559892	412	3.14
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	200	200	200	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	439902	559692	212	
არამაკონტროლებელი წილი				
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2266447	1712920	1630683	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2019 წ.				
დირექტორი _____ თამილა ებრალიძე				
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "სიკეთე"				
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება				
				ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა	
	2018	2017		
ნეტო ამონაგები	3569302	5517337		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2900094	-4376627		
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	669208	1140710	3.15	
მიწოდების ხარჯები	-15663	-29743	3.16	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-499393	-472407	3.17	
სულ საოპერაციო ხარჯები:	-515056	-502150		
ფინანსური შემოსავლები	59917	5982		
დადებითი საკურსო სხვაობები	41440	97792		
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	4813	8859		
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	106170	112633	3.18	
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-126	-72		
ფინანსური დანახარჯები	-141402	-135873		
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-745	-5478		
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-151797	-39756		
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-5	-10534		
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-294075	-191713	3.19	
მოგება დაბეგვრამდე:	-33753	559480		
მოგების გადასახადის ხარჯი	-12353			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-46106	559480	3.20	
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნიებელი:				
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-46106	559480		
არამაკონტროლებელ წილზე				
სხვა სრული შემოსავალი				
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:				
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-46106	559480		
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნიებელი:				
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-46106	559480		
არამაკონტროლებელ წილებზე				
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2019 წ.				
დირექტორი _____	თამილა ებრალიძე			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "სიკეთე"				
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სხვა სრული შემოსავალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2016-თვის	200	212		412
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		559480		559480
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		559480		559480
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში				
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან				
განაწილებული დივიდენდები				
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები				
ნაშთი 01.01.2018-თვის	200	559692		559892
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		-46106		-32760
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-46106		-32760
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში				
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან				
განაწილებული დივიდენდები		-73684		-73684
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები		-73684		-73684
ნაშთი 01.01.2019-თვის	200	439902		440102
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2019 წ.				
დირექტორი _____	თამილა ებრალიძე			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "სიკეთე"			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2018	2017	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		4289701	6438205
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან		4798	8853
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		-3123583	-4965021
გაცემული შრომის ანაზღაურება		-200972	-179791
გადახდილი გადასახადები		-756979	-961025
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები		-11195	-13956
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან		201770	327265
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		-22701	-776
სესხების გაცემა		-700000	
გაცემული სესხების დაბრუნება		226980	67340
მიღებული პროცენტები			5966
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)			
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან		-495721	72530
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება		2407190	1837550
სესხების დაფარვა		-1952058	-2289901
გადახდილი პროცენტები		-108441	-91370
გადახდილი დივიდენდები		-70000	
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)			
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან		276691	-543721
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)		-6977	3252
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:		-24237	-140674
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:		30476	171150
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:		6239	30476
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2019 წ.			
დირექტორი _____		თამილა ებრალიძე	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სიკეთე“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 16 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 445416318, იურიდიული მისამართი - საქართველო, ბათუმი, ორბელიანი/მელიქიშვილის ქ., N 5/104. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია თამილა ებრალიძე (პ.ნ. 61006065234).

1.3. კომპანიის დირექტორია თამილა ებრალიძე (პ.ნ. 61006065234).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სარემონტო-სამშენებლო მასალებით ვაჭრობა. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 4 ადგილიდან (3 - ბათუმში, 1 - თბილისში).

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა.

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების

გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	5110	9281	44597
ლარი საბანკო ანგარიშებზე	335	14868	120634
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	793	6327	5920
სულ:	6239	30476	171150

3.2. გაცემული მიმდინარე სესხები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
გაცემული სესხი	16	16	67340
სულ:	16	16	67340

2018 წლის ბოლოსათვის დარჩენილი დავალიანება წარმოადგენს გადასახდელ პროცენტს, წარმოშობილს 2016 წელს გაცემული მოკლევადიანი სესხიდან, რომელიც ძირითადად დაიფარა 2017 წელს.

3.3. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან	51611	129534	57289
სულ:	51611	129534	57289

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე, სულ - 22 დებიტორი 31.12.2018 წ. მდგომარეობით.

3.4. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	490	90	90
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	52630	161331	114194
სულ:	53120	161421	114284

31.12.2018 წ. მდგომარეობით არსებული ავანსებიდან უდიდესი - 52628 ლარის ოდენობით. დაიხურა 2019 წლის იანვარში განხორციელებული იმპორტის ოპერაციით.

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	1454483	1336411	1092255
საწვავ-საცხები მასალები	209	359	63
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2086	2086	2307
სულ:	1456777	1338855	1094625

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სარემონტო მასალებისაგან და სარეკლამო დანიშნულების საქონელისაგან.

3.6. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	16949		63014
დასაბრუნებელი მოგების გადასახადი ფიზიკურ პირზე გაცემული სესხიდან	83474		
სულ:	100423	0	63014

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით (მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ მიხედვით), ფიზიკურ პირზე გაცემულ სესხზე ხდება მოგების გადასახადის დროებითი დარიცხვა, რომელიც დაუბრუნდება კომპანიას ამ ფიზიკური პირის მიერ სესხის დაფარვისას.

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
კომპიუტერები და აღჭურვილობა	936	113	1044	1866	417	94	1543
ავეჯი და სხვა ინვენტარი	732	153	934	1514	287	539	1765
სარეკლამო დანიშნულების ძირითადი საშუალებები	4961	5157	3356	3161		3448	6608
სატრანსპორტო საშუალებები	58121	20810	7770	45082		6565	51647
სულ:	64750	26232	13104	51622	704	10645	61563

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 55103 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 42411 ლარი.

3.8. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	574		422	996		422	1418
სულ:	574	0	422	996	0	422	1418

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 2240 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 1818 ლარი.

3.9. გრძელვადიანი ფინანსური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
ფიზიკურ პირზე გაცემული გრძელვადიანი სესხის ძირი	473020		
ფიზიკურ პირზე გაცემული გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	59917		
სულ:	532937	0	0

ფიზიკურ პირზე გაცემული სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის ვადაა 2020 წლის 22 მაისი.

3.10. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	27782	4529	1095
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	56749		
სულ:	84531	4529	1095

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 8 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 4 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
ფიზიკურ პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის ძირი		244680	
ფიზიკურ პირისგან მიღებულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	208	44504	
სულ:	208	289184	0

3.12. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება		9389	
შემდგომ პერიოდებში გადასახდელი საბაჟო დღგ	28582	12501	36431
სულ:	28582	21890	36431

3.13. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
„საქართველოს ბანკის“ 1-ლი სესხი (USD)		318985	1063380
„საქართველოს ბანკის“ მე-2 სესხი (USD)		259220	264680
„საქართველოს ბანკის“ მე-3 სესხი (USD)		259220	264680
„საქართველოს ბანკის“ მე-4 სესხი (USD)	1713024		
სულ:	1713024	837425	1592740

„საქართველოს ბანკიდან“ აღებული ყველა სესხი არის აშშ დოლარებში. 2018 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 640000 USD-ს.

3.14. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება	439902	559692	212
სულ:	440102	559892	412

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე.

2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2017-2018 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2018 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2017-2018 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა სარემონტო-სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.16. მიწოდების ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
სატრანსპორტო ხარჯები	14238	28400
რეკლამის ხარჯები	227	141
საღარიბო აპარატების მომსახურების ხარჯები	283	287
სხვა მიწოდების ხარჯები	915	915
სულ:	15663	29743

3.17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	251590	224739
იჯარის ხარჯები	205222	204736
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	582	566
ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	1392	2045
საწვავის ხარჯები	7116	5946
ცვეთა და ამორტიზაცია	13526	11067
საკომუნიკაციო ხარჯები	2125	2122
საბანკო ხარჯები	11192	13944
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6648	7243
სულ:	499393	472407

3.18. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2018 წელი	2017 წელი
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	59917	5982
დადებითი საკურსო სხვაობები	41440	97792
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	4812	8860
სულ:	106170	112633

3.19. არასაოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
საპროცენტო დანახარჯები	141402	135873
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	126	72
უარყოფითი საკურსო სხვაობები	151797	39756
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	745	5478
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	5	10534
სულ:	294075	191713

სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები ძირითადად შედგება ხანდაზმული მოთხოვნების ჩამოწერისაგან და გადახდილი არასაგადასახადო ჯარიმებისა და პირგასამტეხლობისაგან.

3.20. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა 2017 წლის მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად („ესტონური მოდელის“ შესაბამისად) 2018 წელს. 2017 წელს მოგების განაწილება არ მომხდარა და შესაბამისად, 2017 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის მაისში მოხდა ფიზიკურ პირზე გაცემული სესხის პროლონგაცია 2020 წლის 22 მაისამდე.

3.22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დამფუძნებლის/დირექტორის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულება:

	31.12.2018	31.12.2017
სასესხო ვალდებულება	208	289184
სულ:	208	289184

საპროცენტო ხარჯი დამფუძნებლისაგან/დირექტორისაგან აღებული სესხიდან:

	2018 წელი	2017 წელი
საპროცენტო ხარჯი	32961	44504
სულ:	32961	44504

3.23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება


წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 აგვისტოს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	12/31/2018	12/31/2017	01.01.2017
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	1668186	1660302	1567702
ფული და ფულის ეკვივალენტები	6239	30476	171150
გაცემული მიმდინარე სესხები	16	16	67340
სავაჭრო მოთხოვნები	51611	129534	57289
გადახდილი ავანსები	53120	161421	114284
მარაგები	1456777	1338855	1094625
სხვა მიმდინარე აქტივები	100423		63014
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	598261	52618	62981
ძირითადი საშუალებები	64750	51622	61563
არამატერიალური აქტივები	574	996	1418
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	532937		
სულ აქტივები:	2266447	1712920	1630683
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	113321	315603	37531
სავაჭრო ვალდებულებები	84531	4529	1095
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	208	289184	
საგადასახადო ვალდებულებები	28582	21890	36431
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			5
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	1713024	837425	1592740
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1713024	837425	1592740
<i>სულ კაპიტალი:</i>	440102	559892	412
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	200	200	200
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	439902	559692	212
არამაკონტროლებელი წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2266447	1712920	1630683

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2019 წ.

დირექტორი  თამილა ებრალიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.


შპს "სიკეთე"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2017
ნეტო ამონაგები	3569302	5517337
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2900094	-4376627
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	669208	1140710
მიწოდების ხარჯები	-15663	-29743
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-499393	-472407
სულ საოპერაციო ხარჯები:	-515056	-502150
ფინანსური შემოსავლები	59917	5982
დადებითი საკუროს სხვაობები	41440	97792
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	4813	8859
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	106170	112633
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-126	-72
ფინანსური დანახარჯები	-141402	-135873
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-745	-5478
უარყოფითი საკუროს სხვაობები	-151797	-39756
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-5	-10534
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-294075	-191713
მოგება დაბეგრამდე:	-33753	559480
მოგების გადასახადის ხარჯი	-12353	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-46106	559480
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვებელი:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-46106	559480
არამაკონტროლებელ წილზე		
სხვა სრული შემოსავალი		
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:		
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-46106	559480
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვებელი:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-46106	559480
არამაკონტროლებელ წილებზე		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2019 წ.

დირექტორი  თამილა ებრალიძე


თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სხვა სრული შემოსავალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2016-თვის	200	212		412
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		559480		559480
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		559480		559480
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში				
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისგან				
განაწილებული დივიდენდები				
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები				
ნაშთი 01.01.2018-თვის	200	559692		559892
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		-46106		-32760
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-46106		-32760
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში				
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისგან				
განაწილებული დივიდენდები		-73684		-73684
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები		-73684		-73684
ნაშთი 01.01.2019-თვის	200	439902		440102

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2019 წ.

დირექტორი  თამილა ებრალიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.


ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	4289701	6438205
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	4798	8853
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-3123583	-4965021
გაცემული შრომის ანაზღაურება	-200972	-179791
გადახდილი გადასახადები	-756979	-961025
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-11195	-13956
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	201770	327265
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
პირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-22701	-776
სესხების გაცემა	-700000	
გაცემული სესხების დაბრუნება	226980	67340
მიღებული პროცენტები		5966
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-495721	72530
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	2407190	1837550
სესხების დაფარვა	-1952058	-2289901
გადახდილი პროცენტები	-108441	-91370
გადახდილი დივიდენდები	-70000	
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	276691	-543721
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	-6977	3252
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	-24237	-140674
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	30476	171150
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	6239	30476

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2019 წ.

დირექტორი



თამილა ებრაელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნებით არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.